F296/2 №12981

# სამშობლო

წელიწადი პირველი. შაბათი 31 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 7 მან., თვიურათ ... მან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 1 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 1

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშობლო—დედის მუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, მშობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

---

**ქუთაისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ **კვირას**, 1 თებერვალს, საკათედრო ტაძარში დანიშნულია **არქიელის წირვა** და პანაშვიდი განსვენებული მგოსნის

## დიდებული აკაკის

სულის მოსახსენებლად.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 3—2

---

**ქუთაისის ვექილთა კორპორაცია** ამით აცხადებს, რომ, 26 იანვარს, ნაშუალამევის პირველ საათზე, თავის საგვარეულო მამულში, საჩხერეში, გარდაიცვალა საქართველოს უდიდესი პოეტი

## ა კ ა კ ი

პანაშვიდი გადახდილი იქნება შაბათს, 31 იანვარს, დღის პირველ საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში. 2—2

---

**ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭო** ამით აცხადებს, რომ შაბათს, 31 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქუთაისის საკათედრო ტაძარში დანიშნულია პანაშვიდი

## დიდებული მგოსნის აკაკის

სულის მოსახსენებლად. 1—1

---

ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი **ივანეს ძე ერისთავი** ამით აცხადებს, რომ 1 თებერვალს ნაშუადღევის პირველ საათზე, საკათედრო ტაძარში, გადახდილ იქნება პანაშვიდი სასიქადულო მამულიშვილის მგოსნის

## აკაკი წერეთლის

სულის მოსახსენებლად.

1—1—32.

---

**ქუთაისის ურმათათვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 31 იანვარს დღით თორმეტ საათზე საზოგადოების სკოლის შენობაში, კაზაკოვის ქუჩაზე, (მჭედლიძის სახლი) გადახდილ იქნება პანაშვიდი დიდებული ქართველი მგოსნის

## ა კ ა კ ი ს

სულის მოსახსენებლად.

---

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
**თხუზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.**
ფასი 60 კაპ. წ

---

ს. ს. **ი. გოკიელის** შ-ბის ქუთაისში
ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი
**აბრეშუმის ჭიის თესლის**
**ხ. ხრისტოდულიდის** ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**
ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება. თ.

---

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
**კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში**
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი. გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

— კატალოგები უფასოთ — თ.

---

## ამერიკული მწარე ვაზი *(rupestris)*,

**მშრალ** მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასად, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

---

ქ უ თ ა ი ს ი.
თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიამ
**დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ**

## საქართველოს ისტორია,

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

---

## ჭიანჭველის ბუნებრივი სპირტი.

ჭიანჭველის ზეთის მიმატებით, როგორც იშვიათი ძველ დროს ხალხისაგან ნაცადი საშუალება, საარაკოთ არჩენს თვით ძვალ-რბილში გამჯდარ ქარებს.

თითოეული ფლაკონის ფასი 1 მ. 50 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ. და 3 მან.

— ყოველ ფლაკონს თან ახლავს დარიგება. —

ფოსტის ადრესი: ქ. კალ..., ტიბეკინოს მამული, **დიმიტრი დიმიტრის ძე კარბოვი.** 12—2

---

**ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია მ. ბ. კვინიხიძის**

## უ ფ ლ ე ბ ე ბ ი თ.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

---

**ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

---

**ექიმი ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

---

**კბილის მენაღარიშვილი და ტრუფაექიმები. ნოვა.** დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით.

---

## აკაკის გარდაცვალების გამო*)

ბატონო ხმოსნებო! საბჭოს დღევანდელი მორიგი სხდომა უნდა გავხსნა იმის უწყებით, რომ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს დიდი მწუხარება მოევლინა.

დღეს დილით ელვასავით მოედო ჩვენს ქალაქს მეტად სამწუხარო, ყოველი ქართველისათვის გულის დამწველი ამბავი ჩვენი საყვარელი, სალმერთებელი მგოსნის აკაკი წერეთლის გარდაცვალების შესახებ. ხვალ კი მთელი საქართველო, კიდით კიდემდი, გაიგებს ამ დიდი ეროვნული დანაკლისის შესახებ. ცხარე ცრემლით ატირდება და ძაძით შეიმოსება.

აკაკის გარდაცვალებით ჩვენ დავკარგეთ სახელოვანი მგოსანი, ხალხის დიდი მოამაგე—მოჭირნახულე. მასში, ვით სარკეში, ნახევარ საუკუნეზე მეტის განმავლობაში პოულობდა თავის ნამდვილს, ცოცხალ გამოხატულებას ჩვენი ხალხის ცხოვრება, ჩვენი დუხჭირი სინამდვილე.

აკაკის გარდაცვალებით ჩვენ დავკარგეთ ღვთიური ცეცხლით დაჯილდოებული, ზეგარდმო ნიჭით ცხებული მგოსანი, ჩვენი ხალხის საუკეთესო ნაციონალურ იდეალთა გამომხატველი, მამა-პაპათა ანდერძისა და იმედების მატარებელი.

იმის შესახებ ვრცლად ლაპარაკი, თუ რა განუსაზღვრელი ღვაწლი მიუძღვის აკაკის ქართველი ერის წინაშე, იგივე იქნებოდა, რომ თქვენს წინაშე გადაგვეშალა ქართველ ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის სამწუხარო ფურცლები მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.

ეს კი ჩემი სიტყვის საგანს არ შეადგენს და ახლა არც შეიძლება ამის შესახებ ვრცლად ლაპარაკი.

*) სიტყვა წარმოთქმული იყო ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანის მიერ 26 იანვარს ქალაქის საბჭოს სხდომაზე.

---

ჩვენი სათაყვანო მგოსნის ჯერ კიდევ გაუციებელი ცხედრის წინაშე შეუძლებელიც არის დამშვიდებულათ მსჯელობა. ამ ჟამად ყველა ჩვენ მოვუცავართ, ყველა შევუპყრივართ მხოლოდ ერთ გრძნობას, გრძნობას მწუხარებისას, უსაზღვრო მწუხარებისას, და ჩვენც მთელი ჩვენი არსებით ამ გრძნობას უნდა დავემორჩილოთ

**ილ. ჩიქოვანი.**

## ქართველ ერს.

1915 წელს, 26 იანვრის დამდეგს, ღამის პირველ საათზე, საქართველოს დიდება, ქართველი ხალხის ეროვნული გულთმისანი და მესაიდუმლე—აკაკი წერეთელი გარდაიცვალა. მისი მაღმერთებელი სამშობლო საყოველთაო გლოვის ნისლმა დაჰბურა. დაობლებული ქვეყანა გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესით ეხმაურება თავის წუხილის შეუდარებელი გამომსახველის სიკვდილს, ერის წმინდა ზრახვების გრძნეული მომღერალის დაკარგვას.

მთელი ერი ერთი აზრით გამსჭვალული, ერთ გრძნობად გადაქცეული თვალცრემლიანი და გულჩათხრობილი შემოკრბება აკაკის ძვირფასი ცხედრის თაყვანის-საცემლად. წმინდა ნეშთს ჩაიბარებს ჩაფიქრებულ მთაწმინდის ისტორიულ აკლდამას. ხოლო მისი უკვდავი სულის წინაშე საუკუნო ფიცს დასდებს, რომ არ უღალატებს დიდებულ მგოსნის მიერ ნაანდერძევ სიმართლის მსახურებას და ეროვნულ იდეალებს.

---

განსვენებული პოეტის ცხედარს შინიდან გამოასვენებენ სადგურ საჩხერეში ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ნაშუადღევის ორ საათზე.

სადგურ საჩხერიდან მატარებელი ცხედარით გამოვა ხუთშაბათს, ... თებერვალს, დილის 6 საათზე და მივა შორაპნის სადგურზე დილის 10 საათზე (ადგილობრივი დრო).

სადგურ შორაპნიდან მატარებელი გამოვა დილის 10 საათზე და თფილისში ჩამოვა საღამოს 6 საათზე.

გზა და გზა მატარებელს ხვდებიან წარმომადგენლები ადგილობრივ საზოგადოებათა.

ექვსი საათისთვის თფილისის სადგურზე უნდა გამოცხადდეს ყველა, ვინც ცხედრის მიღებაში მონაწილეობას იღებს. ესენი, კომიტეტის განკარგულებით, ადგილს იჭერენ შემდეგის წესით:

1) სამღვდელოება მათი უსამღვდელოესობის მეთაურობით.

2) არა მართლმადიდებელთა სამღვდელოება.

3) განსვენებულის ნათესავები და ქალები.

4) წარმომადგენელნი წოდებათა, თავად აზნაურობისა, ვაჭრებისა, მუშებისა და გლეხებისა.

5) ქალაქის თვითმმართველობათა წარმომადგენლები.

6) ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენელნი პოეტის ვაჟა-ფშაველას მეთაურობით.

7) წერა-კითხვის საზოგადოების წარმომადგენელნი.

8) ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების წარმომადგენელნი.

9) დრამატიული და ფილარმონიულ საზოგადოებათა წარმომადგენლები.

10) სიტყვა-კაზმული საზოგადოების წარმომადგენელნი.

11) სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

12) ქართული კულტურის მოყვარეთა საზოგადოება და „განათლება".

13) ქართველ ქალთა საზოგადოება.

14) წარმომადგენელნი ქუთაისისა და თფილისის სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებათა.

15) თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენელნი.

16) წარმომადგენელნი საქველმოქმედო საზოგადოებისა.

17) წარმომადგენელნი სასწავლებლებისა.

18) წარმომადგენელნი სხვა საზოგადოებათა.

19) წარმომადგენელნი ცეხებისა.

მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ პროცესია გაემართება სადგურიდან ქვაშვეთის ეკლესიამდე შემდეგის გზით: ვოგზალის ქუჩა, ელისაბედის ქუჩა, სადოვაია, მიხეილის პროსპექტი, კიროჩნი ქუჩა, ვერის დაღმართი, ოლღას ქუჩა, გოლოვინის პროსპექტი, ქვაშვეთის ეკლესია.

წესი პროცესიისა იქნება ასეთი:

11) დროშები, ჯვრები და ხატები.

2) კუბოს სახურავი.

3) მგალობელთა გუნდი.

4) მოსწავლენი.

5) მგალობელთა გუნდი.

6) დეპუტაციები, ზემოხსენებული წესით.

7) მგალობელთა გუნდი.

8) სამღვდელოება.

9) ბალდახინი კუბოთი, რომელსაც გვერდით მისდევენ წარმომადგენელნი მწერლებისა და პრესისა ვაჟა ფშაველას მეთაურობით.

10) ბალდახინის უკან მოდიან: გარდაცვალებულის ოჯახი, ნათესავები, წერეთლები და ქალები.

11) ცეხის წარმომადგენლები.

12) განსვენებულის ყველა პატივისმცემელი.

ქვაშვეთის ეკლესიაში მისვენებისას კუბო ჩამოაქვთ და შეაქვთ ეკლესიაში შემდეგ პირთ: ქართველ თავად აზნაურობის წარმომადგენელნი თ-დი კ. ნ. აბხაზი, თ-დი დ. ო. ნიჟარაძე და თ-დი პ. ა. წერეთელი; გ. ნ. ყაზბეგი, თ-დი ს. დ. წერეთელი, თ-დი ს. გ. წერეთელი, თ-დი ბ. დ. წერეთელი, ა. ა. მაჩაბელისა, ე. რ. გაბაშვილისა, ე. მესხი, ნინო ნაკაშიძე, ა. მ. წერეთელი, განდეგილი, ნ. ი. ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკოლოზ ლომაური, ნოე ჟორდანია, გ. მ. ლასხიშვილი, გ. დ. ჟურული, ბათომის ქალაქის მოურავი თ-დი ანდრონიკაშვილი, ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, კიტა აბაშიძე, შიო დედაბრიშვილი, კ. მაყაშვილი, ვ. დ. ლამბაშიძე, თ-დი გ. ნ. დიასამიძე, ი. ს. ელიაშვილი, ი. ს. ფანცხავა, ს. ბახტაძე, კოტე აბდუშელიშვილი, ილია ნაკაშიძე, იროდიონ ევდოშვილი, ვარლამ რუხაძე, ე. აბაშიძე, ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი, რის შემდეგაც კუბოსთან წესდება მორიგეობა გლეხებისა, მუშებისა და კულტურულ დაწესებულებათაგან.

**პარასკევი 6 თებერვალი.**

პანაშვიდები და მორიგეობა კუბოსთან.

**შაბათი 7 თებერვალი.**

პანაშვიდები და მორიგეობა კუბოსთან.

**კვირა 8 თებერვალი.**

წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, ხოლო ანდერძის აგებისა—12 საათზე.

ამ დროს ეკლესიაში მოვლენ დეპუტაციები. ანდერძის აგების შემდეგ ზემოხსენებული პირნი კუბოს გამოასვენებენ და დაასვენებენ სამგლოვიარო ეტლზე, რომლის შემდეგაც ზემოხსენებული წესით პროცესია გაემართება წმ. გიორგისა, ლორის-მელიქოვისა და პუშკინის ქუჩით, ერევნის მოედნით, სასახლით, გოლოვინის პროსპექტით, ჭავჭავაძისა, მეტევოი, მამადავითის ქუჩით და მამადავითის მოედნით. აქედან კუბოს ხელით წაასვენებენ მამადავითის მონასტერში, სადაც ცხედრის დაკრძალვა მოხდება.

კომიტეტის ნებართვით სიტყვებს წარმოსთქვამენ მხოლოდ ერევნის მოედანზე და მამადავითის მთის ყელთან.

შესვლა ქვაშვეთის ეკლესიასა, მის გალავანსა და აგრეთვე მამადავითის ეკლესიაში იქნება მხოლოდ საგანგებო ბილეთით. ბილეთებს დაურიგებენ კომიტეტის კანცელარიაში, სადეპუტატო საკრებულოში, ბელინსკის ქ., 2.

თვითეულ დეპუტაციაში 3 კაცზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთანავე მათ უნდა ჰქონდეთ საგანგებო მოწმობანი იმ საზოგადოებათა და დაწესებულებათა, რომელთაც ისინი გამოგზავნეს.

ვისაც სიტყვის წარმოთქმა სურს კომიტეტის კანცელარიაში უნდა განაცხადონ. ორატორთა ჩაწერა მხოლოდ პარასკევს, 6 თებერვალს საღამოს დასრულდება.

გვირგვინებით კუბოს შემკობა აკრძალულია თანახმად განსვენებულის სურვილისა. გვირგვინების ნაცვლად, თანახმად პოეტის სურვილისა, მსურველმა ფული უნდა შესწიროს ქართულ სახალხო ლიტერატურის შესაკრებად და გამოსაცემად.

ფული უნდა გაიგზავნოს კომიტეტის ხაზინადარ ექიმ ი. ს. ელიაშვილის სახელობაზე (თფ. სათავად-აზნაურო სადეპუტატო საკრებულო, ბელინსკის ქ., 2).

კომიტეტი მიმართავს საზოგადოებას მოწოდებით, რათა ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესრიგის დაცვას დიდებულ პოეტის წინაშე უკანასკნელ მოვალეობის აღსრულების დროს.

**აკაკი წერეთლის ცხედრის გადმოტანის და დაკრძალვის გამგე კომიტეტი.**

---

# ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

**პეტროგრადი.** მოწიწებით მუხლს ვიდრეკ სამშობლოს დიდებისა და სიამაყის, აკაკის ცხედრის წინაშე.

მანსვეტაშვილი.

— —

**თემირხანშურა.** დღეს, 29 იანვარს, გადავიხადეთ პანაშვიდი ქართველი ერის სასიქადულო მგოსნის, აკაკის სულის მოსახსენებლათ. თემირხანშურაში მცხოვრები მგოსნის პატივისმცემელი ქართველები ვიზიარებთ ქართველი ერის მწუხარებას თავის უბადლო შვილის, აკაკის დაკარგვის გამო.

დამსწრეთა მონდობილობით: ვოლსკისა და თ-დი დადეშქელიანი.

— —

დიდებული მგოსნის, აკაკის გარდაცვალებით ღრმათ დამწუხრებულმა ხონის საზოგადოებამ გადიხადა პანაშვიდი ადგილობრივ საკრებულო ტაძარში. დაესწრო აურებელი ხალხი. დაადგინეს მიიღონ ფართო მონაწილეობა დაუვიწყარ აკაკის დაკრძალვის საქმეში.

— —

მთელ ქართველ ერთან ერთად დიმის საზოგადოება გლოვობს და სტირის ჩვენი სიამაყის აკაკის გადაცვალებას.

თ. ჯუღაიძელი.

— —

ვგლოვობ და ვსტირი დიდი აკაკის დაკარგვას. მხოლოდ ცრემლს მწუხარებისასთან მოსდევს ცრემლი სიხარულისა, რომ აკაკი უკვდავ საქართველოსთან თვით უკვდავია. განახლებულ საქართველოსთან ერთად მარადის უკვდავ იქნება მისი სახელი.

სოსო გარდიძე.

— —

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურენი, ღრმად დამწუხრებულნი საქართველოს სიამაყის, სამშობლო ლიტერატურის შუქურ ვარსკვლავის, აკაკის, დაკარგვის გამო; ვიზიარებთ მრავალტანჯული სამშობლოის უ'აზღვრო მწუხარებას და მუხლს ვიყრით საყვარელი მგოსნის ცხედრის წინაშე.

ძეგლის ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ვსდებთ ერთდროულად თვიური ჯამაგირის ორ პროცენტს.

— —

დიდებული მგოსნის სიკვდილმა სევდაბოლმით აგვივსო გული. ჩვენს მდუღარე ცრემლებს ვუერთებთ ერის ცრემლთა ნაკადს—ძვირფას მგოსნის ცხედარზე. მაგრამ მით ვამაყობთ, რომ ჩვენმა ერმა ასეთი ღირსეული შვილი გაუზარდა მამულს—რომლის შვილობითაც არა მარტო პატარა საქართველო იამაყებს, არამედ უფრო დიდი სახელმწიფონიც. მოკვდა მხოლოდ სხეული მგოსნისა—ის კი ცოცხალ არს, რადგან თვისი წვლილი ერის ისტორიაში შეიტანა და მოგვიმზადა მომავალ თაობას სულიერი საზრდო. ვეცდებით დავთრგუნოთ გადაგვარების გზა და წავიდეთ იმ გზით, რომელსაც სათავეში მხცოვანი აკაკი უდგა. ეხლა კი საუკუნო განსვენებას ვუთვლით დიდებულ ქართველ მგოსანს, აკაკის.

მთავრობის საქალებო გიმნაზიის ქართველი მოწაფენი.

— —

სამშობლოს მოშორებული, ბედისაგან უცხოეთში გადახვეწილი, მდუღარე ცრემლებს ვღვრი ქართველი ერის სიამაყის, ძვირფასი აკაკის გარდაცვალების გამო. ვუერთებ ჩემს უზომო მწუხარებას ქართველი ერის გლოვა-გოდებას. ვუსურვებ სამშობლოს მგოსნის მიზნის განხორციელებას.

სოფრომ გამყრელიძე.

— —

ვუერთდებით სრულიად საქართველოს გლოვას დიდებულ აკაკის გარდაცვალების გამო. მან მოჰფინა სხივი მთელ საქართველოს და უგალობდა ივ-ნანას შრომის შვილებს.

ივერიის დიდებულო შვილო, აკაკი! განისვენე წამებულ ილიას გვერდით და ჩვენ მოვალთ შენის ცხედრის წინაშე, მუხლს მოვიდრეკთ და ვეამბორებით შენს ბრწყინვალე სახეს. არ დაგივიწყებთ, დიდებულო აკაკი, სანამ შრომის შვილების მაჯა შესძლებს ბრძოლას არსებობისათვის.

ქუთაისის დეპოს მემანქანეების და მათი თანაშემწეების მონდობილობით გ. პაპუაშვილი.

— —

**ქუთაისი.** გოდებდეთ და სტიროდეთ, მთანო და ველნო სამშობლოისანო, რამეთუ დღეს ივერიის მოღრუბლულ ცაზე სამუდამოდ განჰქრა დიადი სხივ-ცისკროვანი ვარსკვლავი! დღეს ქართველთა მოსე საუკუნოდ მოსწყდა გულიდან თვის საყვარელ ერს აღთქმულ ქვეყნის კართა წინ! ვაჰ, სამშობლოვ, ვინაიდან წარვლენ წელნი მრავალნი, ვიდრელა მოგვევლინების აკაკი მეორე!

31 იანვარს, 1 საათზე, იქნება გარდახდილი სასულიერო სასწავლებლის ეკლესიაში პანაშვიდი დიდებულ აკაკის სულის მოსახსენებლად.

მღვდელ-მონაზონი იოანე.

— —

ქუთაისის ბავშთა მზრუნველ საზოგადოების სკოლის მასწავლებელი ქალები მუხლს ვიდრეკთ დიდებული პოეტის აკაკის ცხედრის წინაშე და ვსტირით ქართველი ერის დაობლებას.

გვირგვინის ნაცვლად ვაგზავნით აკაკის ფონდის სახელობაზე 10 მანეთს*.

მასწავლ. ქ. თამარ ჭეიშვილი.
ნინო შევარდნაძე.
ბარბარე გრიგოლია.

29 იანვარი 1915 წ.

— —

გუშინ, 29 იანვარს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში, პროფესიონალური სკოლის მართველმა ევგენია კორძაიას მეუღლემ, პანაშვიდი გადაიხადა საქართველოს ბრწყინვალე ვარსკვლავის, დიდებული მგოსნის **აკაკის** სულის მოსახსენებლათ და ჩვენს რედაქციას გადმოსცა ათი მანეთი პოეტის ფონდის გასაძლიერებლად.**)

— —

გულშემზარავი და შემაძრწუნებელია ძვირფასი და ჩვენი მოამაგე მგოსნის დაკარგვა.

მივჩერებივარ მის სურათს და ბოღმით გული მევსება. დაჟინებით ჩავცქერი ლმობიერ თვალებში, რომელნიც ბევრის მთქმელნი არიან. ჰო, რამდენ უსამართლობის მოწმე იყო ძვირფასი მგოსანი!

ყოველივე აღელვებდა და მძიმე ბეჭედს ასვამდა მის ფაქიზ სულს. აკაკი ჩვენი დიდება, მთელი კაცობრიობის მოჭირნახულე იყო, ლაპარი ჩვენი ერისა, დიადი ადამიანი, ჩვენი მამა იყო: ავ-კარგის მთქმელი; პირში მზრახველი, მკიცხავი მოღალატეთა ფხიზელი დარაჯი მოზარდ თაობისა და უსამართლობის მკაცრი მაჯგული.

მან აგვიხილა თვალები და ჩაგვახედა სწორ სარკეში ჩვენი ცხოვრებისა მან, ზე—კაცმა, დაჰგმო ყოველივე უსამართლობა; უთანასწორობა და ჩვენი სილაჩ

*) ეს ფული გადაეცა ქუთაისის აკაკის დაკრძალვის საორგანიზაციო კომიტეტს. რედ.

**) ფული გადაეცა აკაკის ნეშტის დაკრძალვის მომწესრიგებელ კომიტეტს. რედ.

---

# ᲐᲙᲐᲙᲘ.

სა... მზე ჩაესვენა! სამშობლოს ფირმამას ბრწყინვალე ვარსკვლავი მოსწყდა!

აღარ არის ქართველთა ეროვნული ...დება, მეცხრამეტე საუკუნის რუსთაველი—დიდი აკაკი!

დაობლდა მისი „სალამური", ხმა-ტკბილი და საამური", რომლის კვნესაც ქართველი ერის „მწარე მოთქმას" გამოხატავდა, ჩანგური, რომლის ხმაზედაც პოეტის სიმღერა დაჩაგრულს თვალთ ცრემლებს უშრობდა,—მჩაგვრელს კი გულში ძგერით ისარივით ესობოდა", კალამი, რომელმაც უკვდავ ჰყო ქართული ენის მშვენიერება, მოსიყვარულე გულის კეთილშობილი ზრახვანი და მაღალი გონების ღრმა ნააზრი.

და დაობლდა მისი საყვარელი სამშობლო, „ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით ფეხშიშველა და თავ-ლეჩაქ მოხდილი", ვისთვისაც ის „არ იშორებდა მწუხარებასა და ჭირს", „არ ახსოვდა თავისი სატკივარი" და გულმოკლული სტიროდა ან ისე იცინოდა, რომ ის სიცილი ცრემლზედაც კი უფრო მწარე იყო.

ამ სამგლოვარო დღეს, როდესაც დაობლებული ქართველი ერის გული ღრმა მწუხარებას შეუპყრია, როდესაც დიდი მგოსნის გვამი ჯერ კიდევ ჩვენს თვალთ არ მიჰფარებია, განა შეიძლება მისი ღვაწლისა და ამაგის ღირსეულად დაფასება?!

მაგრამ იმავე დროს, როდესაც მწუხარებისაგან გული სდუღს და სული შფოთავს, როგორ შეგვიძლია არ ალმოვიკვნესოთ, ენა დავილუმოთ და, რამდენადაც კი ძალი შეგვწევს, პოეტის ღვაწლი არ ვახსენოთ და არ აღვნიშნოთ! აკაკის ლიტერატურ[ული] მნიშვნ[ელობა] ამა ფოსლ...ბელია.

მან ჩაუყ... საფუძველი ეროვნულ შეგნებას. და, თუმცა ...ლოსობა არ სწამდა, მაგრამ ერთი მხრით ის ნამდვილი ხალოსი იყო, რადგან უარ-ჰყო ამა ქვეყნის სიამენი და ყველაფერი—თავისი ტრფობის საგანს, სამშობლოს, შესწირა.

თავისი სულიერი მიდრეკილება და საზოგადოებრივი დანიშნულება პოეტს ნათლად აქვს გამოხატული „თამარ ცბიერში". თამარ-ცბიერი—ამა სოფლის სიამეთა გამოხატულებაა, მგოსანი გოჩაკი—მამულიშვილის თავგანწირულობისა. და გოჩა უარყოფს მშვენიერი თამარის სიყვარულს, რადგან თამარის სახელთან ერთად მას ეხატვის „მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლის წყევა, ქვეყნის ღაღადი, ერთა ვედრება",—და ეკლის გვირგვინს არჩევს.

ლექსში „აღმართ-აღმართ" გენიოსური ნიჭიერებით არის გამოხატული კაცის სულიერი განვითარების, შეგნების, საფეხურები. ამგვარი განვითარება კაცს ჯერ ზრდის, აქეზებს, ამხნევებს, აღაფრთოვანებს. შემდეგ, განვითარების მწვერვალზე, საიდანაც კაცი ნათლად ხედავს ყველაფერს, ავსა და კარგს, სიკეთესა და ბოროტებას, სწორსა და მრუნდ გზას, მას აკლდება სულიერი წონასწორობა და სასოწარკვეთილებას ეძლევა ხშირად. მაგრამ იმ დროსაც კი, როდესაც პოეტის სულიერი წონასწორობა შერყეულია და მისი გული საუკუნოდ იკოდება, მას მაინც კიდევ თავისი სატრფო ახსოვს, ე. ი. სამშობლო,

და ეს ის ქინია, ის გაუნელებელი ცეცხლია, ის დაუშრეტელი გულისთქმაა, რომელიც თან სდევს თითოეულ დიდბუნებოვან ადამიანს, ანიჭებს მას ბოროტებასთან ...ენერგიას და იფარავს სასო... ...თილების განმანადგურებელი, დამაბრუნებელი გავლენისაგან.

ლექსში, „საყვარლის საფლავს ვეძებდი ვერ ვნახე დაკარგულიყო". რომელიც წარმოადგენს თავისი ჰარმონიული წარმტაცი ხმატკბილობითა და ნაზი სევდის მომგვრელი კილოთი შეუდარებელ საგალობელს, იგივე სატრფო ნაგულისხმევი. და ამ ლექსის შინაარსი და ხასიათი ამგვარად უნდა გავიგოთ: მგოსანს დაუმღერებია ჩანგურზე სევდიანი ხმით გალობა, რომელშიაც თავისდა უნებურად სამშობლოსადმი სიყვარული ჩაუწნავს, ჩაუქსოვია.

„თავს ვადგივარ მისი ჭირისუფალი და გულსა მწვავს მწუხარების მე ალიო", ამბობს პოეტი ერთ თავის მშვენიერ ლექსში, მაგრამ იმავე დროს გულს არ იტეხს და აღარ ახსოვს თავისი სატკივარი, როცა სატრფო ცოცხალმკვდარი ეგულება.

და მისი პოეზიის ერთი ღირსებათაგანი ის არის, რომ გულში იმედს გვიღვიძებს და სამოქმედოდ გვაქეზებს.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს", ამბობს პოეტი თავის სატრფოზე. და ეს გამამხნევებელი იმედი სასიცოცხლო, სამხიარულო, სასიმღერო, აღმაფრთოვანებელ კილოს ანიჭებს მის მშვენიერ საგალობელ ლექსებს, რომელთა ნაკადულისებურ, მჩქეფარე სრბოლა სიცოცხლის ენერგიას გამოხატავს.

ამგვარად აკაკის პოეზია არ არის არც ეროტიული, საარშიყო, და არც კვიეტისტური, სასოწარმკვეთი, არამედ ფხიზელი, ენერგეტიული, მოქმედებითი, სიცოცხლის შემაყვარებელი, იმედის გამაღვიძებელი და ბრძოლისადმი წამაქეზებელია. და მისი იდეალი არ არის თამარ ცბიერი, რომელიც ტრფობის სურვილით ალტყინებული ეძებს თავის მშვენიერების თაყვანისმცემელთ, რომელსაც არშიყობა, მამაკაცთა ტრფობის ალში გახვევა და დამონება—ცხოვრების მიზნად დაუსახავს, არც სალოსი, ანუ განდეგილი, რომელიც უქმსა და უმოქმედო მჭვრეტელობაში ატარებს დროს, არამედ გმირი ტარიელი, რომელსაც თავისი ბედკრული სატრფოს ძებნაში სხვა აღარა ახსოვს-რა და მისთვის ხელობს მისთვის მკვდარი, მისთვის მზად არის თავი დასდვას.

ეს დედა-აზრი უდევს სარჩულად მის პოემებსაც: ბაგრატ დიდს, თორნიკე ერისთავს და სხ., აგრეთვე დრამატიულ ნაწარმოებს „პატარა კახსა" და ბევრ სხვა მოთხრობას.

განვიმეორებ, მისი სათაყვანო გმირები იყვნენ: თორნიკე ერისთავი, ბაგრატ დიდი, მეფე ერეკლე, დიმიტრი თავდადებული და სხ., რადგანაც თითოეული მათგანის სულიერი და ხორციელი ღონე და ენერგია მამულს ეწირებოდა.

და, უეჭველია, თვით აკაკი ხსენებულ თავდადებულთა გუნდს ეკუთნის. მან უარჰყო პირადი ბედნიერება, თუმცა მის ცოცხალ ბუნებას უყვარდა ამა სოფლის სიამოვნებანიც და არ იწუნებდა მათ განდეგილივით. ის სთმობდა, რაც ამ სიცოცხლეში მისთვის საამო იყო და რის კანონიერებასაც აღიარებდა, რადგან ყველაფერი ერთს, მთავარ მიზანსა და გულისთქმას, სამშობლოსადმი სიყვარულს, ანაცვალა.

მაგრამ სად არის ასეთი დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის წყარო?! საიდან აღმოჩქეფს სიცოცხლის ნაკადული, რომლის განსახიერებასაც აკაკი წარმოადგენს? ეს წყარო—ქართველი ერის ფიზიოლოგიური და სულიერი ენერგია არის.

სილიბა ის, ვისაც ჰგონია, ვითომ ქართველი ბუნებით ზარმაცია, უენერგიოა ... ქართველთა გმირობით სავსე ისტორიული წარსული და იმ საკვირველმა მამაცობამ, რომელიც მათ დღევანდელ დიდ ომში გამოიჩინეს, მთელი რუსეთი გააკვირვა. დიაღ! არაკი ქართველთა სიზარმაცის შესახებ, შეთხზული ჩვენთა მოშურნეთაგან, უკვე ჩაილურის წყალს ჩაბაუდა.

მართლაც! ქართველთა სიზარმაცე უენერგიობა და უსიცოცხლობა—ბუნების კანონის უარყოფა იქნებოდა. პირიქით, საქართველოს ზომიერი, ცხოველმყოფელი ჰავა კაცს აფხიზლებს, სამოქმედოდ აქეზებს, ენერგიას უთასკეცებს და ბუნების მომხიბლველი მშვენიერება სიცოცხლეს აყვარებს და გულში იმედს უსახავს. ეს არის მიზეზი, ქართველთა შორის რომ ფეხს ვერ იკიდებს სიცოცხლის უარმყოფელი, სასოწარმკვეთი, კვიეტისტური მჭვრეტელობა და განდეგილობა და ქართველს რომ, პირიქით, ასე ძლიერ და ღრმად უყვარს თავისი მშვენიერი, წარმტაცი მთა-ბარი, მდინარენი, შხუილით რომ მირბიან, მთის მოჩუხჩუხე ნაკადულები, გრიალით ჩამომდინარე ჩანჩქერები და სხეულის დამაამებელი ანკარა და ცივი სასმელი წყაროები.

დიაღ! ცოცხალი ბუნება ქმნის სიცოცხლეს, ენერგიას. ამიტომ არის სიცოცხლით ავსებული ქართული პოეზია ჩახრუხაძიდან და რუსთაველიდან დაწყებული დღემდის.

ბუნების აღწერასა და დასურათებაში ქართველი პოეტები ერთმანეთს ეცილებიან. აკაკის ხელოვნებამ კი ამ მხრით სისრულეს მიაღწია. წაიკითხეთ ლექსები: „ამაო ფენა", „გაზაფხული", „განთიადი" და მრავალი სხვა, თუ გინდათ განიცადოთ უდიდეს ესთეტიური სიამოვნების ჟრუანტელი, ბუნების დასურათებისაგან გამოწვეული.

ქუთაისის საფირჩხიის ამაღლების ეკლესიის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი, აუწყებენ ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 1 თებერვალს დღის 12 საათზე, ამავე ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი დიდებული მგოსნის და ძვირფასი მასწავლებლის, ეროვნული სიამაყის

# ა კ ა კ ი ს

სულის მოსახსენებლად.

...ეგ. უკვდავი გადაგვარებულთ და გვიწინასწარმეტყველა ბრწყინვალე მომავალი.

აკაკიმ შექმნა გმირნი და მხნე ვაჟკაცნი. „მოკვდა აკაკი, შეწყდა სიმი ქნარის ს..." -ო გაისმა მთელს არემარეზე. განა შესაძლებელია დიადო ადამიანო. შენი სიკვდილი? არა! შენი ხსოვნა მუდმივ იქნება ჩვენს სულ და გულში. შენი მოგონება გვაცხოველებს და შეუდრეკელი თვითმოქმედებისკენ გვიწვევს.

შენის მოგონებით აღვიდგენთ წმიდა ტაძარს ჩვენს გულში; შენს სახელს ვსცემთ პატივს, როგორც ერთად ერთ ღვთაებას. შენი სახელი მოგვაგონებს ყოველივე მაღალს და დიდსულოვან ღვაწლს. შენი ხსენება მუდმივი იქნება ქართველ ერთა შორის.

მუხლს ვიდრეკ შენის ცხედრის წინაშე და ვუერთებ ჩემს ცრემლებს მთელი ერის ცრემლებს.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, უძვირფასესო მოჭირნახულე ჩვენი ერისა, მგოსანო აკაკი.

თამარ ნადარეიშვილი.

## პანაშვიდები აკაკის სულის მოსახსენებლად.

დიდებული ადამიანის გარდაცვალებას საზოგადოება ყოველთვის შესაფერის პატივისცემითა და დიდებით ხვდება. გაისმა აკაკის გარდაცვალების ამბავი თუ არა, მთელი ქუთაისი გლოვის ზარმა მოიცვა. ყველა, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებებში კრებები გაიმართა, იმის გამოსარკვევად თუ როგორა სცენ პატივი მგოსანს.

ქართველებს არც ქუთათური ებრაელები ჩამორჩნენ; მგოსნის გარდაცვალების დღესვე შეუდგენ ფულის შეკრებას ძეგლის ფონდის გასაძლიერებლად.

დღეს, 31 იანვარს, სამლოცველოში მოახდენენ საერთო ყრილობას დეპუტაციის ასარჩევად და მასთანვე პანაშვიდსაც გადაიხდიან მგოსნის სულის მოსახსენებლად.

აკაკის პოეზია მკითხველს არა თუ სიცოცხლეს აყვარებს და ენერგიას ჰმატებს, არამედ იმავე დროს აკეთილშობილებს, ...გან გულ... ჩაგრულისადმი თანა...ბას უნ...ს. მას სწამდა, რომ ...დ მონობისაგან განთავისუფლებული, ...უფლებამოსილი ხალხი შეიქმს ერს, მონათა ბრბოს კი არ შეუძლია შექმნას არაფერი დიადი, ეროვნული. ამასთან ერთად აკაკის ნამდვილი დემოკრატიული ხასიათი და სული ჰქონდა და მის ამგვარ მიდრეკილებას ისიც ხელს უწყობდა, რომ ბავშობის დროს გლეხის ოჯახში აღიზარდა. ამიტომ მისი სიყვარული მდაბიო ხალხისადმი ბუნებრივი იყო და არა ძალდატანებითი, გარეგნული. და აღსანიშნავია, რომ იმდენი მეგობარი მდაბიო ხალხში, აკაკის რომ ყავდა, მდგომარეობით მასზე უფრო დემოკრატიულ მწერლებსაც კი არა ყოლიათ.

ამიტომ უმღერდა მისი ჩანგური ჩაგრულს, სწყევლიდა და ჰკრულავდა მჩაგვრელსა და უგალობდა თავისუფლებას.

ამგვარად აკაკი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს უდიდესი ეროვნული დემოკრატი იყო.

რაც შეეხება აკაკის ენას, რომელიც ახალ ქართულ ლიტერატურას საფუძვლად დაედვა, მისი სიმდიდრე და სიმარტივე, მუსიკალობა, სიტკბოება და სიკეკლუცე, მჩქეფარე სიცოცხლე, ენერგია და სიხალისე სხვისი ენით გამოუთქმელია. და ჩემი სიტყვების ცხად-საყოფელად მისი „განთიადიდან“ სანიმუშოდ ერთ პატარა ადგილს მოვიყვან:

„ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო!..

ვერ ავიტანე ობლობა,
სისხლის ცრემლები ვღვარეო,

29 იანვარს, რეალური სასწავლებლის მოწაფეებმა მგოსან აკაკის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს მშობლებიც დაესწრნენ. წარმოითქვა შესაფერი სიტყვები.

ამავე დღეს პანაშვიდი გადაიხადეს ქ-ნ ელისაბედ ხოჯევანიშვილის ქალთა პროგიმნაზიაში, რასაც დაესწრნენ მოწაფეების მშობლები. პანაშვიდის გათავების შემდეგ დეკ. კაპანაძემ მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა. მოწაფეებმა წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

როგორც ოფურჩხეთიდან გვწერენ, 29 იანვარს, ახლათ აგებულ ეკლესიაში დიდძალი ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გადაიხადა იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ

ამავე დღეს ქუთაისში ქალაქის პირველ დაწყებით მეორესა და მეოთხე სასწავლებლებში პანაშვიდის გადახდის შემდეგ მღვდელმა ზ. ნემსიწვერიძემ პატარა მოწაფეებს აკაკის მოღვაწეობა გააცნო.

30 იანვარს მთავარანგელოზის ეკლესიაში აკაკის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადეს ქართველმა სტუდენტებმა, ქუთ. ქართული გიმნაზიისა და წმ. ნინოს ქალთა მოწაფეებმა. პანაშვიდს დიდძალი ხალხი დაესწრო. პანაშვიდს დაესწრო სხვადასხვა დაწესებულებათ წარმომადგენელნიც.

## ერის გუშაგი გარდაიცვალა.

ძნელია შესაფერი სიტყვების პოვნა იმ უსაზღვრო მწუხარების გამოსახატავად, რასაც ამ ჟამათ განიცდის ყოველი ქართველი, დიდია ის, თუ პატარა, თავადი, თუ გლეხი, ნასწავლი, თუ უსწავლელი, მდიდრული დარბაზების ფუფუნებით მცხოვრები თუ თოვლ ყინულ ქვეშ ჩამარხული ქოხმახების მკვიდრი.

ძნელია ისეთი საზოგადო მოღვაწის დასახელება, რომელსაც აკაკისებურათ შემაერთებელი ხიდი გაედოს მთელი ერის შემადგენელ ნაწილებში.

ძნელია ისეთი ზეგარდმო ნიჭით ცხებული მგოსნის დასახელება, რომ ყველასათვის ასე საყვარელი, ყველასათვის პატივსაცემი ყოფილიყოს, განურჩევლად წოდებისა და მიმართულების.

რომელ დარბაზში, რომელ ქოხში არ გაიგონებთ აკაკის ტკბილხმოვან ლექსებს, მის მოწრებულ სხარტულს!.. ვინ არ დამღერის, არ დაღიღინებს მის „სალამურსა“ და „ჩანგურს“..

მოსტყდა წვერი მახვილ კალამს... დაჩლუნგდა ბასრი ისარი... გატყდა ტკბილი სალამური.. ჩანგურს დაუწყდა სიმები...

დარბაზი და ქოხი მწუხარებამ მოიცვა... დიდი და პატარა დუმილით ქვითინებს.. მთელი საქართველო ძძით იმოსება.

აღარა გვყას აკაკი... ერის გუშაგი გარდაიცვალა!..

რატომ შუაზედ არ გადატყდები, ჩემო ბლაგვო კალამო, რომ ამ თავზარდამცემ სიტყვებსა სწერ?!.

დავით ბეგლიანი.

წამძლია სულმა და გულმა,
შენს ნახვას დავეჩქარეო.

წინ მომეგებენ ღიმილით
შენი მზე, შენი მთვარეო,
გუნდი და გუნდა ვარსკვლავი
მოკამკამე-მოელვარეო.

გულში იფეთქა სიამემ,
სევდები უკუვყარეო,
ია და ვარდი დამჩნარი
ხელახლად გამიხარეო!

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო!..

ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო,
და, რომ მოვკვდები, გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო,

დედა-შვილობამ, ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ნათქვამიდან სჩანს, რომ აკაკის უდიდესი შემკრებელობითი მნიშვნელობა ჰქონდა: მან ერთ ერად შეკრიბა მთელი ხალხი. მან და მისმა თანამშრომლებმა შექმნეს თანამედროვე ქართველი ერი.

და ის ღვთიური შემოქმედებითი ძალა, რომელმაც ეს შემკრებელობითი საქმე შეასრულა, იყო მის მაღალ, გენიოსურ ნიჭთან ერთად უკეთილშობილესი გული, ე. ი. სიყვარული სამშობლოსა და ერისადმი.

და ვინც სიყვარული დასთესა და გვიანდერძა, სიყვარულივე მოიმკო: აკაკიმ საუკუნო ბინა იპოვა ქართველი ერის გულში.

ვასილ წერეთელი.

# ახალი ამბავი.

—:—

**დღეიდან გამოდის ახალი გაზეთი „სამშობლო“ ი. თ. ცინცაძის (იაეკალაძის) რედაქტორობით.**

საპროგრამო ნუმერი „სამშობლო“-სა გამოვა ხვალ, 1 თებერვალს.

✦ გუშინ, 30 იანვარს, ქუთაისში საჩხერიდან ჩამოვიდა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. როგორც მან გადმოგვცა, მას აკაკის სახე უკვე გადაუღია. ბ-ნ ნიკოლაძეს ამჟამათ ქუთაისში მოლაპარაკება აქვს ვაგონის გაწყობის შესახებ. იგი ამ დღეებში თფილისს გაემგზავრება.

✦ ქუთაისის ებრაელების საზოგადო კრება დიდებული მგოსნის აკაკის შესახებ დანიშნულია დღეს, 31 იანვარს. ფულის მოგროვებას ძეგლის ფონდის გასაძლიერებლათ უკვე შეუდგენ.

✦ 29 იანვარს, საურთიერთო ნდობის ბანკში შესდგა ქუთაისის ვაჭრების წინასწარი კრება, რომელზედაც გადაწყდა, რომ ორშაბათს, 2 იანვარს, საზოგადო კრება მოახდინონ.

**გაზ. „იმერეთი“ მთავრობამ კვლავ შეაჩერა, რადგანაც სოლქო სასამართლოსაგან გამართლებული რედაქტორის საქმე ბრალმდებელს გაუსაჩივრებია.**

✦ დღეს, 31 იანვარს, ქალაქის თეატრში, ცნობილი ლექტორი გრ. რობაქიძე, ქართულ ენაზე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ხასიათი თანამედროვე პოეზიისა და ინდოეთის მგოსანი რაბინდრანათ ტაგორი.“ ეს ლექცია ბ. რობაქიძემ ორი დღის წინათ წაიკითხა თფილისში.

✦ დღეს, 31 იანვარს, ნაშუადღევის 12 საათზე არქიელის გორაზე, წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილ იქნება პანაშვიდი აკაკის სახელობაზე არსებულ სამკითხველოს გამგეობის თაოსნობით დიდებულ მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ.

✦ **სამოსწავლო ოლქის მზრუნველის რუდოლფის განკარგულებით, სასწავლებლებში სწავლა ორშაბათს, 2 თებერვალს დაიწყება.**

✦ 29 იანვარს იმერეთის ეპისკოპოსმა გიორგიმ აკურთხა სოფ. ოფურჩხეთში (ქუთ. მაზრა) ახლათ აგებული ეკლესია. წირვის შემდეგ გადახდილ იქნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდის შემდეგ დეკ. ვასილ დოლაბერიძემ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც დახასიათა აკაკის ღვაწლი ქართველი ერისადმი. აქვე წარმოსთქვა სიტყვა ადგილობრივმა მცხოვრებმა ი. კვიცარიძემ, ბ. კვიცარიძე მცხოვრებლებს შეპირდა, აკაკის სახელობაზე სამკითხველოს გახსნას. ვრცელი წერილი ცალკე იქნება მოთავსებული.

✦ ქუთაისში დრამატიული საზოგადოების სეზონი ხვალ დასრულდება. დღემდის დასს გაუმართავს სულ 70 წარმოდგენა.

ხვალ, 1 თებერვალს, ქუთაისში შესდგება დრამატიული საზოგადოებას კრება დიდებული მგოსანის აკაკის დასაფლავების შესახებ.

✦ დღეს საზოგადო საკრებულოში დანიშნულია მასკარადი ერთი საჩუქარით.

✦ ოთხშაბათს, 28 იანვარს, ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში მასწავლებელთა და მოწაფეთა თანდასწრებით დიდებულათ იქნა გადახდილი პანაშვიდი ჩვენის სასიქადულო მგოსნის აკაკის სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდზე სამღვთო სჯულის მასწავლებელმა დეკანოზმა მ. ცაგარეიშვილმა წარმოსთქვა შესაფერი სიტყვა.

# ო მ ი.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

### რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან. 29 იანვარი. უკვე საბოლოოთ გამოირკვა, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში გერმანელებმა დიდძალას მოუყარეს თავი, რის შემდეგაც შეუდგენ იერიშების მოტანას ვილკოვიშკის და ლიკუს ხაზებისკენ. ჩვენი ჯარი აჩერებს მტრის შემოტევას და იხევს მაზურის ტბებიდან ჩვენი საზღვრებისკენ. ვისლის მარჯვენა ნაპირზე უმნიშვნელო შეტაკებები ხდება. უეკის რაიონში გერმანელების თავდასხმა ჩვენ მოვიგერიეთ. რაბქსთან მედგარ ბრძოლის შემდეგ დავიკავეთ გურკოვი. ამ ბრძოლაში დავატყვევეთ 1000 კაცი და ერთი ზარბაზანი.

### კავკასიის ასპარეზი.

ოფიციალური. 29 იანვარი. ჩვენმა ფლოტმა მოახდინა მამაცური თავდასხმა ტრაპიზონზე და რიზაზე და ზარბაზნები დაუშინეს ოსმალების ბატარეებს; მოსპეს ორი ხიდი; პლატანში ჩაძირეს 30 ფელუგა. რიზაში ჩაძირეს ერთი ფელუგა და სრულიად გაანადგურეს რკინის ხიდი. კავკასიის ბრძოლის ველზე არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 28 იანვარი. 27 იანვარს, ღამით, ჩვენ ლაბუასესთან ავაფეთქეთ მტრის სამი ნაღმი და თხრილები ხელში ჩავიგდეთ. არგონის სიმაღლეებზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ვოგეზში მტერს უკან დავახევინეთ, სადაც ჩვენი ცხენოსანი ჯარი დიდებულათ მოქმედებდა.

მდ. ენთან ჩვენმა მფრინავმა ჩამოაგდო მტრის სანიშნო ბურთი. ვერდენის ახლოს ჩამოვაგდეთ მტრის ჰაეროპლანი. მისმა პილოტმა ლეიტენანტმა ფონ-გიდემატმა სექტემბერში პარიზში ყუმბარები ჩამოყარა და პროკლამაციებით წინადადებას აძლევდა მცხოვრებთ, საფრანგეთის ჯარს ურჩიეთ იარაღი დაჰყაროსო.

**ალექსანდრია.** ოსმალებმა დაკეტეს ნავსადგურები იაფფა და ქაიფა, რის გამოც ამერიკის გემმა ველარ შესძლო წამოეყვანა გამოქცეულები ალექსანდრიიდან. ოსმალები უკან იხევენ. ოფიციალური მოხსენებიდან სჩანს, რომ ერთ მოკლულ გერმანელ აფიცერს, რომელიც ოსმალეთის ჯარში მსახურებდა, უნახეს პატარა პარკი, რომელშიაც აღმოჩნდა თეთრი ბაირაღი.

## სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. დეპ. სააგენტ.

**ბუქარესტი.** 29 იანვარი. გუშინ, როდესაც დეპუტატი კუზა, დეპუტატთა პალატაში, ცდილობდა შეხებოდა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, შეაჩერა თავჯდომარემ შემდეგი სიტყვებით: მთავრობამ, განსაკუთრებული მდგომარეობის გამო, გადასწყვიტა არავითარი აზრი არ წარმოსთქვას საგარეო პოლიტიკის შესახებო. თავჯდომარის ამნაირმა განცხადებამ დიდი კამათი გამოიწვია ყველა სკამზე. დიდი ხმაურობის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა მორტცუნმა განაცხადა, რომ, განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო მთავრობამ განსაკუთრებული ზომები მიიღოო. ამაზე ერთმა დეპუტატმა უპასუხა: რადგანაც მთავრობის გადაწყვეტილება პარლამენტმა უარყო, ამიტომ არსებულ კანონებს უნდა მივსდიოთო.

## სახელმწიფო სათათბირო.

(გაგრძელება).

თავმჯდომარე განაგრძობს ლაპარაკს ინგლისის—საფრანგეთისა და იაპონიის როლის შესახებ მიმდინარე ომში და აღნიშნავს მათ გმირობას და თავდადებას პრინციპისა და იდეისთვის. ბატონებო, განაგრძობს როძიანკო, ამ საოცარ დროს, ჩვენმა გვირგვინოსანმა მეფემ კეთილ-ინება და აკრძალა არაყით ვაჭრობა ხალხის სიფხიზლისათვის, დღეს ჩვენ წინ სდგას ნაგარ და ფხიზელი რუსეთი. ამაშია უდიდესი აქტი ჩვენი დროისა, ...რუსეთი ... თავის უმაღლეს ბელადს და ეტყვის: „მიიღე, მეფევ ჩვენი სალამი, წარსულ უბედურებას და ეჭვს ჩვენ შორის ბოლო მოეღოო“. (გაისმის ვაშა, ჰიმნის სიმღერა და ტაშისა ცემა) დღეს თვით შეგნებული ხალხი, თავდავიწყებით იბრძვის და ის შესძლებს შიშისა და მუდმივი მუქარისაგან გაინთავისუფლოს თავი. ის შესძლებს შავი ზღვა გასწმინდოს გერმანიის ბატონობისაგან, დიახ, რუსეთის ხალხი შესძლებს დასძლიოს მტერი დახელი მოაწეროს მტერს ქვეყნისთვის სასარგებლო და სამშვიდობო ქაღალდზე. **დიახ ასე სურს მთელ რუსეთს**, ვიტყვი მე და თუ თქვენ, დიდებულნო მეომარნო, ბევრი რამ გაკლიათ დღეს, განა ეს შეაშინებს თქვენ სიმამაცეს? თქვენ რუსეთის ხალხი ხართ და მაშასადამე, არ უნდა იკლოდეთ თქვენ დაბრკოლებანი. (საერთო ტაშის ცემა და აღტაცება).

ლაპარაკობს **მინისტრების თავჯდომარე** და აღნიშნავს მოკლეთ, თუ როგორი იყო ხალხის აღტაცება იმ დროს, როდესაც ომი გამოცხადდა და როგორ თავდავიწყებით იბრძვის რუსისა და მოკავშირე სახელმწიფოების ჯარები ძლიერ, მაგრამ უკვე შესუსტებულ მტერთან. შავზღვაზე და კავკასიის ასპარეზზე, ამბობს პრემიერი, ოსმალეთის ჯარი გაჰფანტა კავკასიის სახელოვანმა ჯარებმა და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ჯარი სტამბოლის კედლებს მიადგება. მინისტრი განაგრძობს: ხალხი იბრძვის მტერს და არაფერს უთმობს. თუ დღეს ბრძოლის რაიონებში მტერმა გაანადგურა მშვიდობიანი მცხოვრებლების ქონება და საცხოვრებელი, ჩვენი სახელმწიფო შესძლებს მათ დახმარებას და ზარალის ანაზღაურებასო. შემდეგ გორემიკინი აღნიშნავს საზოგადო დამხმარე კომიტეტების და სხვადასხვა ორგანიზაციის როლს ომიანობის დროს. შემდეგ გადადის მინისტრთა თავჯდომარე სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობაზე, სამეურნეო და სხვადასხვა საკითხებზე და დაასკვნის, რომ რუსეთს ბედნიერი დღეები მოელის ამ ომის შემდეგ: იგი აღსდგება, უფრო გაძლიერდება თავის კერძო, საკუთარ შემოქმედებაში, და მოუწოდებს ყველას ვიმუშაოთ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვისო. (ვაშა, ტაშის ცემა და საერთო ხმაურობა)

**ლაპარაკობს გარეშე საქმეთა მინისტრი.** იგი დაწვრილებით აღნიშნავს თითქმის ...ელ მოვლენას, რამაც ხელი შეუწყო ...ომიანობას. რისთვის ... ამ ომში რა ინტერესები ჰქონდათ გერმანიას და ავსტრიას, როგორია როლი რუსეთისა დღევანდელ საკაცობრიო ალმურში. გერმანიამ და ავსტრიამო, ამბობს მინისტრი, ვერ აიტანეს ის გარემოება, რომ ჩვენ შეთანხმებას საფრანგეთთან და ინგლისთან შეეძლო ევროპაში ჩაეყარა საუკუნო მშვიდობიანობისთვის მაგარი საფუძველი, რითაც გერმანიას თავისი მტაცებლური სისტემა უნდა შეეწყვიტა. ამისთვის გერმანიამ სხვადასხვა ხრიკს მიმართა, მაგ. ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენსა და მეზობელ სახელმწიფოებ შორის უთანხმოება ჩამოეგდო; სკანდინავიის სახელმწიფოებთან იგი ცდილობდა, რომ ჩვენსა და მათ შორის, როგორმე უთანხმოება ჩამოვარდნილიყო. გერმანიის ფულებით გალიციის უკრაინაში ორგანიზაციები იმართებოდა, რომ რუსეთის უკრაინაში ამბოხება მომხდარიყო და ამით ჩვენი სახელმწიფოს ძალა შესუსტებულიყო. ასევე იყო გერმანიის ცდა ბულგარეთში, მაგრამ ყველაზე მეტი ენერგია მან გამოიჩინა ოსმალეთში, და კიდეც ჩაიგდო თავის ბრჭყალებში ოსმალეთი. გერმანიამ მას გადაკიდა სახიფათო ომი და მით ოტომანის სახელმწიფოს ბოლო მოუღო. ასევე იყო ჩინეთში, იაპონიაში და სხვაგან ბევრგან, მაგრამ ყველგან ვერ სჭრის მისი ხრიკი და ბევრგან სანანებლად გაუხდა საქმე. ერთ უკანასკნელ მის ხრიკთაგანს შეადგენს ის, რომ გერმანიამ გაავრცელა ხმა, ვითომ რუსის ჯარმა პოლონეთში აწიოკა ებრაელები და მათი ქონება დაიტაცა. მე ვსარგებლობ სათათბიროს ტრიბუნით და ვამბობ, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ გერმანის შეძლო გამოგონებაა, თავი რომ დაა-

# დღეს მოულოდნელათ მოგვიხდა გაზეთ „სამშობლო“-ს გამოცემა, საპროგრამო ნუმერი გამოვა ხვალ, 1 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოთ იმას, თუ როგორ ცდილობდა გერმანია და დღესაც ცდილობს ამერიკის შეერთებული შტატები მიიმხროს, მათ აქვთ კიდევ ერთი საშუალება თავის მიზნის განსახორციელებლათ. ეს არის ის, რომ გერმანია ხან ერთ მოკავშირეზე ალაპარაკებს, ვითომ მან გერმანიას სეპარატული ზავი სთხოვა და ხან მეორეზე. ეს ხერხი გერმანიისა ძლიერ სუსტი გამოდგა, რადგან ყოველი მოკავშირე, მხოლოდ მოკავშირეთ გრძნობს თავს და მეტი არაფერი, რომ ერთი მეორეს არ უღალატებს, რომ ყველა ერთად დაამთავრებს ამ ომს და შემდეგ ყველანი ერთად ისარგებლებენ ევროპის მშვიდობიან ცხოვრებით. (ტაში, ცემა და ვაშას ძახილი) არ შემიძლია აგეთვე არ ვახსენო ბელგიის დიდებული ხალხი, რომელმაც თავის უმაგალითო ტანჯვით დიდი შემწეობა და დახმარება აღმოუჩინა ჩვენს დიად საქვეყნო საქმეს. მე მოხარული ვარ, რომ რუსის ხალხის წარმომადგენლებთან, ერთად შემიძლია ჩემი სიხარული და აღტაცება გამოვსთქვა ჩვენი მოკავშირეების მიმართ. (დეპუტატები ფეხზე დგებიან. ვაშა, და ტაშის ცემა. ოვაციას უკეთებენ ინგლისის საფრანგეთისა და ბელგიის ელჩებს).

(შემდეგი იქნება).

## ომში დაჭრილი და მოკლული ქართველები.

კაპ. გაბელაშვილი დიომიდე იესეს ძე, მოკლულია, პოდპორ. ხერხეულიძე მიხ. მიხეილის ძე ჭრილობისაგან გარდაიცვალა. პორ. ლოლაძე ვლ. პორფ. დაიჭრენ: შტ. კაპ. ახვლედიანი ნიკ. ნეს., პოდპოლკ. გოგიაშვილი ხარ. დავ.

### პეტროგრადის ლაზარეთში.

ლიონიძე მიტროფანე გიორგის ძე, ქუთ. მაზ. დაჭრილია ფეხში. ჩიკარტაძე ალექსი გიორგის ძე, თფილ. გუბ. დაჭრილია ფეხში. პაპუაშვილი გიორგი, სიღ. მაზ., დაჭრილია მარცხენა ხელში. გოგუაძე აბესალომ ივანეს ძე, ფოთი. მარცხენა ფეხში დაჭრილი. ცოცხალაშვილი კიტია (?) ხარიტონის ძე, თიანეთის მაზრა. დაჭრილია მარცხენა ფეხში. მამისეიშვილი ალექსანდრე, ქუთ. მაზრა. მარცხ. ... ყრუაშვილი (ნესტორ დავითის ძე, ... მაზ. შე... ... ძე არჩილ ზურაბის ძე ... ველი ... ი, სიღ. მაზ. კირსანაშვ... ი იოსებ ივანეს ძე, გორის მაზრა. ლადი(ა)შვილი ილია დურ. თფილ. გუბ. ახნაზაროვი კონსტანტინე სიმონის ძე, ქალაქ თფილისი. კაჭარავა გერასიმე გიორგის ძე, ქ. სოხუმი. კბილოშვილი მანუელ ნარიმანის ძე, სოფ. წაბლარასხევი, ქუთაისის მაზრა. ხელშია დაჭრილი. დათოშვილი დიმიტრი მიხეილის ძე, გორის მაზრა. ჯუმუხაძე (?) სოლომონ იოსების ძე, გორის მაზრა. გოგიჩაიშვილი ანტონ გაბრიელის ძე გორის მაზრა. პაციავა, (პაწიავა ან ფაციავა?) ზუგდ. მაზრა. თოდუა ანტონ გიორგის ძე, ზუგდ. მაზრა. გოგია სილიბისტრო დავითის ძე, სენაკ. მაზრა. გუმბერიძე თედორე გიორგის ძე, სოფ. სვირი, ქუთ. მაზრა. დაჭრილია მარცხ. ფეხში. გაბუნია დიმიტრი გიორგის ძე, სოფ. ბანძა, სენაკის მაზრა. სანაძე მელიტონ ან., ს. ხონი, ქუთ. მაზ., დაჭ. მარცხენა ფეხი. ცხოვრებაშვილი გაბრიელ დავითის ძე, სოფ. ხალაუანი (?), თიანეთის მაზრა დაჭრილია მარცხენა ხელში. დავითაშვილი ლევან გრიგოლის ძე, სოფ. სპართაგავანი (?) თელავის მაზრა. დაჭრილია მარცხენა ფეხში. აბდუშელიშვილი ივ. გიორგის ძე, სოფ. ბეგნავი შორაპნის მაზ. მიშკორავა აკაკი დავითის ძე, დ. სამტრედია. დაჭრილია ხელში. ჯიშკარიანი ყარამან კოსტას ძე, ზუგდიდის მაზრა. გურწკაია ევლი ივანეს ძე, ზუგდ მაზ., პუცკუკიძე ალექსანდრე ბათ., ზუგდ. მაზ. ცანავა ილარიონ სტეფანეს ძე, ზუგ. მაზ. შარმაზანოვი გიორგი წყალობას ძე, ს. თელეთი. თფ. მაზ. დაჭრილია ფეხში. კკაშვილი ნიკო ნიკ., ს. იტარეთი, თფ. გუბ. დაჭრილია ფეხში გოგიშვილი თადეოზ ნარიმანის ძე, სოფ. ჩასავალი, რაჭის მაზრა. დაჭრილია ხელში. მოსეშვილი ილარიონ პავლეს ძე, ს. კუხი, ქუთ. მაზ. გოგაშვილი ხარიტონ ივანეს ძე, სოფ. ჯუგაანი, სიღ მაზ. ჭრილობა ხელში. მესტუმრეშვილი ეფრემ წყალობას ძე, სოფ. კოლოტი (?) დუშ. მაზ. ჭრილობა ხელში და ფეხში. გოსაძე არჩილ გიორგის ძე ქალ. ქუთაისი, ჭრილ. მარცხ ხელში. კატანოვი (sic?) კირილე სიმონის ძე, სოფ. პარმაკსისი (?), ბორჩალოს მაზრა ჭრილ. ხელსა და ფეხში. ჩოფიძე ლეონ დიმიტრის ძე. ს. ბოსლევი, შორაპ. მაზ. ნებიერიძე ივანე თედორეს ძე, სოფ. ზოვრეთი, შორაპ. მაზ. კვატაძე გალაკტიონ დავითის ძე, სოფ. საზანო, შორაპ. მაზ. გოგოლაშვილი სამსონ დიმიტრის ძე. ანაკე, სიღ. მაზ. დუტუა იაკობ პავლეს ძე, დ. სამტრედია. ჩახატარია საბა ივანეს ძე, სოფ. ძვ ლგავაზი თელავის მაზრა.
მაჩიტაძე ვასილი დავითის ძე, ს. თავასა, შორაპ. მაზ. შენგელია ალექსანდრე ანდროს ძე, დ. სამტრედია. გახარია იოსებ ზაგის ძე, დაბა ახალსენაკი. ი'ბაძე ივანე გიორგის ძე, ს. გოგნი, შორაპნის მაზრა. ლომიძე მაქსიმე სიმონის ძე, ს. ხუნევი, შორაპ. მაზრა. ჩოტიშვილი სოლომონ გიორგის ძე. კვანტალიანი ილია გაბრიელის ძე დ. ხონი, ქუთ. მაზ. მაღრაძე ალექსანდრე ელიოზს ძე, ს. მარელისი, შორაპ. მაზრა. ბულაძე გიორგი ზნავრის ძე, ს. გომი, დუშეთის მაზ. ლიპარტია სამსონ დავითის ძე, ზუგდ მაზრა. ჩიკარტაძე ალექსანდრე გიორგის ძე, ქ. გორი. შარმაზო (sic!) გიორგი გაბოს ძე, თფ. გუბ. თიანეთის მაზ. ესმაშვილი ზაქარია გიორგის ძე, ქ. თელავი. ბუცკინაშვილი კირილე მიხეილის ძე, ს. შაშიანი, თელავის მაზ. გოგსაძე სიმონ ფირანის ძე, ს. რცხილათი, შორაპ. მაზ. ბუსხივაძე იპოლიტე ბესარიონის ძე, ს. ლვანკითი, შორაპ. მაზ.

ქვემო ჩამოთვლილი ჩამოიყვანეს სხვა და სხვა დროს ნავთლუღში გამნაწილებელ გოსპიტალში და იმყოფებიან თფილისის სხვა და სხვა ლაზარეთებში.

ცნობის მისაღებად უნდა მიმართონ თფილისის ქალაქის თვითმართველობის ცნობის მიმცემ ბიუროს, ერევნის მოედანზე.

**26 დეკემბერს ჩამოიყვანეს:**

ივანე ასხიშვილი. გიორგი აბისონაშვილი. შაქრო აზრუმეზრუშვილი. ლეონ ბერიძეშვილი. სერგო ბერიაშვილი. დათიკო ზახტაძე. კოსტა ვასილაშვილი გიორგი ვაჩნაძე. ფ...უზა გოტეგაშვილი. ვასო ...ლეგაშვილი ...ნიკიფორე ...აძე. სამუელ გორგაძე. დიანოსა გაბ... ... კოსტა გიგილაშვილი. ივანე ჯუხაძე. გიორგი დოლიძე. სანდრო კობიაშვილი. ფირუზ კატებაშვილი. დათიკო კახაშვილი. ლუკა ლვაბერიძე. სევასტი კეკენაძე. მიხეილ სალუკაშ-ძე. იაკიმე თევზაძე. გიორგი ურვიშვილი. მიხა ჩიხლაძე.

**27 დეკემბ. ჩამოიყვანეს.**

ივანე ბურჭულაძე. პისირა ხუბულური. არჩილ ჩ.დუნელი.

**28 დეკ. ჩამოიყვ.**

ვასო ინოდიშვილი. რომანოზ კახეთელიძე. სევასტი მჟავანაძე. ლევანტი სირაძე.

**1 იან. ჩამოიყვ.**

იუსტინე ჯოვიაკიძე. იუსტინე ჯოლაკიძე. გიორგი ქველიძე. გიორგი ემმაკურაშვილი. ზაქარია მაისურაძე. მოსე ნაზარიშვილი. ივანე ნაჭყებია. მიხა პონქველაშვილი. გიორგი ფონდელაშვილი. ვასო პურიჭამიაშვილი. ილარიონ ხაბეიშვილი. ივანე ხუციშვილი. იაკოფა ჩალარია. ივანე შპელიშვილი. ბესარიონ კვაჰანტირა.

**3 იანვ. ჩამოიყ.**

ესტატე ანთია. თედორე ალმაზაშვილი. პლატონ ვაშაკიძე. ალექსი ქარციძე. ვასილ კერესელიძე. ნიკოლოზ კუნდიშვილი. ტაგუ კალანდია. ესიფა კოკიტაშვილი. ზაქრო კეტიაშვილი. სერაფიონ ლეჟავა, იოსებ მათიაშვილი. პავლე მოდებაძე. ანდრია სიხარულიძე. პორფილე სულაძე. კონსტანტინე სხვიდიანი. გიორგი. თანდელაშვილი. დიმიტრი ტკაშულავა.

**4. იანვ ჩამოიყვ.**

ალექსანდრე ალიმბერაშვილი. ნიკო ავთანდილოვი. კოსტა ახვლედიანი. ვასო ბუზიაშვილი. ზაქარია ჯაფარიძე. ზაქარია წითელაშვილი. ალექსანდრე კოგმასაძე. ივანე ყაზახიშვილი. დიმიტრი ლომთაძე. იოსებ მინდიაშვილი. ისაია პანჩულიძე. ზაქარია სიმონაშვილი. დათიკო ხუცულავა. ზაქარია საბოლოშვილი. ზაქარია ჩიტაშვილი. აკაკი ჩუბინიძე. ბესარიონ ჩხარტიშვილი. ანტონ ჩოგოვაძე. ამბაკო ჩიტიაშვილი.

**10 იანვარს ჩამოიყვანეს:**

თედორე აბუსონაშვილი. პანტელეიმონ ალავიძე. მაქსიმე ბუზიაშვილი. ციცკუნ ბიტარეიშვილი. ლაზარე ბლუიშვილი. ლავრენტი ბრეგვაძე. გაბრიელ ბატიაშვილი. ვლადიმერ გვინეტაძე. ალექსი ვოჩიშვილი. გიორგი დიდმელაშვილი გრიგოლ ჯაფარიძე. ვლადიმერ დუმბაძე. ზაქარია ჯაკაძე. ირონ დანიელაშვილი. პორფირე ჯიშკარიანი. ვასილ ჯანყარაშვილი. ვასო ელერდაშვილი. ვასო ზურაშვილი. ზაქარია ინაშვილი. დათიკო ინაშვილი. გიორგი ინაშვილი. ნიკო კვანძიანი. ვასო კადიჩევაძე. ბართლომე კალიძე. იოსება კურცხალია. ვლადიმერ ჯაჯაია. სოსიკო კუკუმბეკაშვილი. ივანე კენზელაშვილი. პავლე გადისერაშვილი. ნესტორ ქორიძე. ვასო კორკიტაძე. იაკობ კალაშეგაშვილი. იოსებ კაჩეიშვილი. ჯამულეთა კვაჭაძე. ლუკა ლომთაძე. ივანე ლოცაშიძე. ამშეკ ლორთქიფანიძე. ალექსი ლოცაშიძე. სერაფიონ ლომთაძე. ერასტი მუმლაძე. გაბრიელ მელაძე. ე'ტატე მეცხვარიშვილი. ილარიონ მალაკელიძე. ზურაბ მანუჩარიშვილი. კაპსონ მერგელაძე. სამსონ მაგიტაძე. ონისიმე მეტრეველი. ვასო ნაკუპრიშვილი. ალექსი ოქროაშვილი. შერმენტი პატარაია. მიხო სულავა. ბესარიონ სალაძე. ბესარიონ სიხარულიძე. ნესტორ სარალიძე. ნესტორ სურგულაძე. მიხა ტასკაძე. გიორგი ტაკალაშვილი. ბენიამენ თოიძე. მიშა ტუქსაძე პანტელეი თალაქვაძე. ალექსანდრე ტაბალოშვილი. ვასო ხიზანიშვილი. ლადიმერ ხომასურიძე. ლეონტი ხელხაძე. მიხა ხახიაშვილი. ლევან ხოიაშვილი. ილია ხაჯანაძე. ლუკა ხორნაული. ლადო ციბახაშვილი. კოსტა ცოხაძე. სიმონ ცაკაძე. პეტრე ცოცერია.

**14 და 15 იანვარს ჩამოიყვანეს:**

ნიკო ბერიშვილი. ბესარიონ ბერიძე. სიმონ შაიდველაძე. ალექსანდრე დაბურდაშვილი. სავლე ჯიქიძე. თედორე ელბაქიძე. იოსება ჯარმელაშვილი. ილარიონ ხახარაშვილი. შაქრო იმნიაშვილი. ივანე კიშიძე. სპირიდონ კაკაბაძე. ეფრემ ლეკიშვილი დათიკო მოსულაშვილი. დათიკო მ-ლაშვილი. ნიკო მელქაძე. ილია მენთეშაშვილი. ანდრია ფანიაშვილი. იოსებ პატარაძე. კარნეს პაიჭაძე. სოლომონ სამხარაძე. ერმალო ტაპატაძე. პავლე ტარანაშვილი. გიორგი უჩენეიშვილი.

**17 იანვარს ჩამოიყვანეს:**

არტემ თურქაძე. ზინოფე ქორქაშვილი.

**20 იანვარს ჩამოიყვანეს:**

გიორგი სირაძე კირილე ბერიკაძე. ვასო ჯოხაშვილი. ვასო გოტსანაშვილი. გიორგი პუპუნაშვილი. ალექსი გუგაიძე. ნიკო ბერიკაშვილი. ივანე ჩუბინიძე. გიორგი ამბუშიძე. ონუფრი ბერიშვილი. იოსება ჯიჯიშვილი. სიმონ ვაკაშვილი. ბიქტორ გოგრეველაშვილი. ილია პორსმანაშვილი. ილარიონ გელანია. ივანე კუტალიძე. სოლომონ მაისურაძე. ზურაბ კაპანაძე. იოსებ ბაქრაძე. გიორგი ქუთათელაძე. სოლომონ ჯინიკაშვილი.

---

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. 50 წ. დილ. |
| | 11 ს. 30 წ. ღამ. |
| **ბათომიდან** | 10 ს. 5 წ. დილ. |
| | 2 ს. 23 წ. ღამ. |
| **ფოთიდან** | 10 ს. 30 წ. დილ. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. 55 წ. დილ. |
| | 1 ს. 7 წ. ღამ |
| **ბათომში** | 10 ს. 7 წ. საღამ |
| | 4 ს. 27 წ. დილ. |
| **ფოთში** | 4 ს. 14 წ. დღ. |


**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„ იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . 20 კაპ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . 35 კაპ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა ს. და ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტ. 10 კ.

**რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

---

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები

**გ. გ. ბ ი ბ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა.**

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **ქ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.**

**ს წ ა ვ ლ ი ს ფ უ ლ ი ა ს ი მ ა ნ.**

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. ბიბინეიშვილი.** თ.

---

**ფოთის ახალ მაღაზიაში „უ ნ ი ვ ე რ ს ა ლ“**

**ქარვასლის ქუჩაზე, პროვოდნიკის პირდაპირ**

მაღაზიაში **ი ყ ი დ ე ბ ა** მაღაზიაში

**უკანასკნელ მოდების, გალანტერეის, შლიაპებისა და ხელსაწყოების საქონლები:**

სხვა და სხვა კრუჟევა, ტილოები, ვსტავკები, საყელოები, აგრამანტები, ფოლაქები, ვიშივკები, ცხვირსახოცები, ჩულქები, ფუფაიკები, ხელთათმანები, კაცის პერანგები და საყელოები, კორსეთები, ხალათები, იუბკები, ქალების, ბავშვების და მოწაფეების შლიაპები და ბევრი სხვა საქონელი.

რადგანაც დუქანში ბევრი ადგილი აღარ გვაქვს ქალების შლიაპებზე და შეკერილ საქონელზე ფაბრიკის ფასი. **დ ა კ ლ ე ბ უ ლ ი ა 50%.**

**პატივისცემით აინბინდერი.**

თ.

---



**ვაუწყებთ პატივცემულ მყიდველებს,** რომ მე გავეყარე **ნ. ს. ტერკის ფირმას** და გავხსენი სასტუმრო „ლონდონის პირდაპირ.



**ს ა კ უ თ ა რ ი მ ა ღ ა ზ ი ა;**

ჩემი დიდიხნის გამოცდილება და ცოდნა ... მლებას მაძლევს სხვა ფირმებზე უფრო ... ფად გავყიდო და სინიდისიერათაც შევასრულო ყოველნაირი სამუშაო, რაშიც პირადათ დარწმუნდება მყიდველი.



მისამ. წერილ. და დეპეშ. **ქუთაისი. აბრამ ტერკი**

---

**კალიგრაფიის** (ლამაზი და ჩქარი წერის) **კურსები.**

**(ნებადართულია მთავრობისაგან)**

**ვ უ ს წ ო რ ე ბ** წერისხელს და აგრეთვე ვასწავლი პირისპირ და დაუსწრებლათაც: კალიგრაფიას, ჩქარ წერას, ვინიეტებით წერას რონდშრიფტს, გოტიურ-წერას და შტაილშრიფტს ლამაზ მხატრობიანს; აგრეთვე ვამზადებ კალიგრაფიის მასწავლებლობისათვის.—სამსახურში შესასვლელათ, ვასწავლი საკანტორო კომერციულ ჩქარ-წერას და ყოველგვარს აუცილებელ ნიმუშს, წესრიგსა და შრიფტს.—სულ უსწავლელი 15 გაკვეთ. ვასწავლი ლამაზ წერას და ნაწერების წაკითხვას; აგრეთვე ვასრულებ

**ადრესების, დიპლომების და ხელმწიფის**

თუ საზოგადოთ უმაღლეს პირთა სახელზე თხოვნების წერას.—კალიგრაფიის კურსებზე შემოსვლა ორივე სქესის ყოველი ასაკის პირებს შეუძლიათ, 8 წლიდან დაწყებული, ვიდრე ღრმა სიბერემდი. საღამოის კურსები 4 საათ. 9-მდი

კალიგრაფიის მასწავლებელი **ი ვ. მ ი ხ. ც ი ნ ც ა ძ ე.** კაზაკოვის ქუჩა., სახლი 13. თ.

---

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სა- ლიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

**„გ ა ნ თ ი ა დ ი“-ზე**

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს—2 მან. 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიცარიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში: კოწია გამყრელიძესთან, ბათომში: ხოსიტაშვილის ... მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში: თ. ის. მერაბ. ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спирид. Панцха...